

მშვიდობის კორპუსი

მშვიდობის კორპუსი 1961 წელს დააარსა პრეზიდენტმა კენედიმ. ორგანიზაცია წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის არაპოლიტიკურ, არამომგებიან და არარელიგიურ სააგენტოს, რომელიც საშუალებას აძლევს ამერიკელ მოხალისეებს, გაუზიარონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობას. მშვიდობის კორპუსი გზავნის კვალიფიციურ მოხალისეებს იმ ქვეყნებში, რომლებიც ამგვარ მხარდაჭერას საჭიროებენ. მოხალისეებს შეაქვთ თავიანთი წვლილი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაში.

მოხალისეები

მოხალისეები არიან სხვადასხვა ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, პროფესიის და გამოცდილების მქონე ქალები და მამაკაცები, რომლებიც წარმოადგენენ ამერიკის მრავალფეროვან კულტურას. ყველა მათგანს აქვს საუნივერსიტეტო განათლება.

მოხალისეები ცხოვრობენ და მუშაობენ საქართველოს რეგიონებში ორი წლის განმავლობაში. ისინი არ იღებენ გასამრჯელოს და არ სარგებლობენ პრივილეგიებით.

მოხალისეებს ამოძრავებთ ადგილობრივი ხალხის დახმარების სურვილი. თუმცა, ორწლიანი სამსახურის განმავლობაში ისინი არამართო თვითონ უზიარებენ ცოდნას მოსახლეობას, არამედ არანაკლებ ფასეულ გამოცდილებასა და ცოდნას იძენენ, რაც ეფუძნება პირად ურთიერთობებს, კულტურისა და ტრადიციების გაცვლას. ამ მხრივ მასპინძელი ოჯახის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.



Peace
Corps
GEORGIA

**ოჯახში ცხოვრება
მოხალისეებს აძლევს
საშუალებას,
დაუახლოვდნენ ოჯახის
წევრებსა და თემს,
გაეცნონ
კულტურას, შეითვისონ
ქართული ენა და
სრულად
ჩაერთონ ადგილობრივი
საზოგადოების
ცხოვრებაში.**

**მასპინძელი ოჯახის
საინფორმაციო
ბროშურა**



(+995) 511 10 73 74



საირმის ქუჩა 118.
თბილისი, 0125.



www.peacecorps.gov/georgia

2024

მასპინძელი ოჯახები

იმისთვის, რომ ამერიკელი მოხალისე ადვილად გახდეს ჩვენი საზოგადოების წევრი, გაითავისოს ენა, კულტურა და წეს-ჩვეულებები, იგი ცხოვრობს მასპინძელ ოჯახში არანაკლებ პირველი სამი თვისა. ოჯახში ცხოვრება უადვილებს მოხალისეს ადაპტაციის პროცესს და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას. ოჯახში იგი ეცნობა ქართული ცხოვრების წესს და ტრადიციებს, ადვილად ითვისებს ქართულ ენას.

პირობები

მშვიდობის კორპუსი მასპინძელ ოჯახს ყოველთვიურად უხდის 490 ლარს, რის ფარგლებშიც მასპინძელმა ოჯახმა უნდა უზრუნველყოს მოხალისე ცალკე ოთახით და ყოველდღიური კვებით. ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით მოხალისე დამატებით გადაიხდის მისი ოთახის გათბობის ხარჯებს 95 ლარის ოდენობით.

მოვალეობები

ოჯახებს მოეთხოვებათ, ჩართონ მოხალისე ოჯახურ საქმიანობაში და გააცნონ იგი ადგილობრივ თემს. ოჯახებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ მოხალისე არის ზრდასრული და დამოუკიდებელი ადამიანი და პატივი უნდა სცენ მის გადაწყვეტილებებს.



მასპინძელი ოჯახის შერჩევის კრიტერიუმები

- მასპინძელ ოჯახს უნდა ჰქონდეს სურვილი, სამი თვიდან ორ წლამდე მიიღოს ამერიკელი მოხალისე ოჯახის წევრად, გააცნოს მას ადგილობრივი კულტურა და ადათ-წესები, დაეხმაროს მოხალისეს ქართული ენის შესწავლაში.
- ოჯახმა უნდა უზრუნველყოს მოხალისე ცალკე ოთახით და კვებით.
- მოხალისის მასპინძელი ოჯახი არ შეიძლება იყოს არც ორგანიზაციის ხელმძღვანელი და არც მოხალისის მომავალი პარტნიორი თანამშრომელი.
- მიმღები მასპინძელი ოჯახი უზრუნველყოფს მოხალისეს ცალკე ოთახით, რომელშიც უნდა იყოს ელემენტარული ავეჯი: სანოლი, მაგიდა, სკამი და კარადა. კარი აუცილებლად უნდა იკეტებოდეს გასაღებით.

- მოხალისეს უნდა ჰქონდეს ძირითადი კარის/ჭიშკრის გასაღები.
- საპირფარეშო უნდა იყოს სახლში ან სახლიდან არაუმეტეს 25 მეტრის მანძილზე.
- მოხალისემ უნდა შეძლოს, მიიღოს აბაზანა ან გაიცხელოს წყალი პირადი ჰიგიენისთვის სუფთად მოწყობილ ადგილას.
- მოხალისეს უნდა ჰქონდეს საშუალება, გაირეცხოს ტანსაცმელი და გამოიყენოს სამზარეულო, სადაც აუცილებლად უნდა იყოს მაცივარი.
- სახლი ზამთარში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობის რაიმე საშუალებით: ელექტრო, გაზის, ნავთის ან შეშის ღუმლით.
- სახლი უნდა მდებარეობდეს სამსახურიდან არაუმეტეს 45 წუთის ფეხით სავალ მანძილზე. სახლში და სამეზობლოში უნდა იყოს უსაფრთხო გარემო.
- სასურველია, ოჯახის წევრთაგან ერთ-ერთს მაინც შეეძლოს ინგლისურად საუბარი.